საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/54

ქ. ბათუმი 20 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 17.05.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 აპრილის №01-02/49 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კონკურსის საფუძველზე გეოგრაფიის დარგობრივ დეპარტამენტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით (**2024 წლის 27 მაისამდე**) არჩეული იქნეს **ნაზიბროლა ფაღავა**.
2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს **2019 წლის 27 მაისიდან**.
3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირს.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**